ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 98

20 ნოემბერი 2020 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.

კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ გრიგოლია.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი. 12-032031836-03

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ (11-01203212447;11-01203221548 საკრ#15-032032164-03;15-032032310-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა,რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 840 302,5 ათასი ლარით, რაც 2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 1 021 400,6 ათას ლარს, შემცირებულია 181 098,1 ათასი ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 820 159,3 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადები 657 355,8 ათასი ლარი დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 462,355.8 ათას ლარს. საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 160 000,0 ათასი ლარი (2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 10 000,0 ათასი ლარით); ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი. გრანტები 5 936,1 ათასი ლარი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 476,1 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი. სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 5 000,0 ათასი ლარი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად). სხვა შემოსავლები 156 867,4 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 8 600,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 25 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) 55 000,0 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები – 20 267,4 ათასი ლარი. ჯამში სხვა შემოსავლები

2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 46 130,0 ათასი ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია 682 013,3 ათას ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 72 629,2 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 124 242,9 ათასი ლარი, პროცენტი 7 651,0 ათასი ლარი, სუბსიდიები 213 884,2 ათასი ლარი, გრანტები 511,8 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 159 740,3 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 103 353,9 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა. არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 122 681,5 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 142 681,5 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება – 20 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება ფინანსური აქტივების ცვლილება (143,2) ათასი ლარი; ფინანსური აქტივების კლება – 143,2 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება 2021 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (15 607,6) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებაა. 2021 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განსაზღვრულია 15 464,4 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 840 302,5 ათას ლარს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 72 223,2 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 140 088,3 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 106 218,4 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 4 164,4 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 39 157,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 164 376,9 ათასი ლარი; განათლება - 162 919,0 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 38 814,5 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 4 402,3 ათასი ლარი. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 107 938,2 ათასი ლარი.

ბიუჯეტის პროექტის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა ყველა კომისიამ და კომისიაში წარმოდგენილია კომისიების , ფრაქციების და დამოუკიდებელი დეპუტატების შენიშვნები და რეკომენდაციები. მან დეტალურად ისაუბრა მათ შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე.

აღინიშნა, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის, მათ შორის, ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი/განსახორციელებელი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად აუცილებელია დედაქალაქის საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გაუმჯობესება, მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მგზავრთა უსაფრთხო, კომფორტულ და სწრაფ გადაადგილებას.ასევე აღინიშნა, რომ დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაა და ამ მიმართულებით გასატარებელია კომპლექსური გარემოსდაცვითი ღონისძიებები. მათ შორის, მნიშვნელოვანია გამწვანების სამუშაოები, ახალი რეკრეაციული სივრცეების შექმნა, არსებული რეკრეაციული სივრცეების რეაბილიტაცია.

წარმოდგენილი პროექტით თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება დღევანდელი მსოფლიო პანდემიის პირობებში დამაკმაყოფილებელია. თუმცა 2021 წლის განმავლობაში სიტუაციის გაუმჯობესების შემთხვევაში მიზანშეწონილად მიაჩნიათ ზემოაღნიშნული პროგრამის ხარჯების შეძლებისდაგვარად გაზრდა.

სასურველია ფინანსური რესურსის მობილიზება ახალი სპორტული ცენტრების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესასყიდად და ახალგაზრდული ცენტრების სარეაბილიტაციოდ და ახალი მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების შესაქმნელად.

კომისიები რეკომენდაციას უწევენ კულტურის ობიექტების მოდერნიზაციას. მათ შორის კულტურული და საგანმანათლებლო ობიექტებისა და ღონისძიებების განვითარებასა და დედაქალაქის გარეუბნებში განშლას. აღინიშნა, რომ დედაქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროების განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსს 2021 წლის აპრილში ერთი წლის ვადით გადმოიბარებს და ამ დროის მანძილზე აუდიტორიას მრავალფეროვან ღონისძიებებს შესთავაზებს. საქართველოსთვის აღნიშნული პროექტის უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაბამისი კომისია რეკომენდაციას უწევს თანხების მობილიზებას პროექტის მაღალ დონეზე განხორციელების უზრუნველსაყოფად.

კომისიები თავიანთ რეკომენდაციებში აღნიშნავენ, რომ სასურველია გენერალური გეგმის შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოფს თბილისის ყველა უბნის თანაბარი განვითარება. აქტიურად გაგრძელდეს თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოები. ერთიანი გეგმის შესაბამისად, განხორციელდეს ავარიული და ძველი შენობების რეაბილიტაცია და ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები. მაჟორიტარი წევრების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ დაზუსტების მომენტში, გამგეობებისათვის გამოყოფილ ბიუჯეტებში სასურველია გათვალისწინებულ იქნეს რაიონის სპეციფიური პრობლემატიკა და მოსახლეობის რაოდენობა.სოციალურად დაუცველი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ჩვენი მოქალაქეების სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით სოციალური დაცვის ქვეპროგრამის ,, უფასო სასადილოებით მომსახურება" ბიუჯეტის ზრდა.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ გასული წლის მიწურულს კორონა ვირუსმა, სხვა ქვეყნებთან ერთად ურთულესი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო. ჩვენმა ქვეყანამ, შემაკავებელი ინსტრუმენტების დროული და სისტემური ამოქმედებით, ასევე გამოჩენილი მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ხარჯზე, შედარებით მსუბუქად გადაიტანა ვირუსის პირველი ტალღა. აღნიშნულ ფართომასშტაბიან შეზღუდვებს გააჩნდა საკუთარი მძიმე ეკონომიკური და სოციალური ფასი. ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტში წარმოიშვა დიდი დანაკლისი შემოსავლების ნაწილში, ხოლო მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიუჯეტზე სოციალური დანახარჯების ტვირთი. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს არსებული ეპიდვითარება, ვირუსის უკონტროლო გავრცელება, ასევე უკვე არსებული და მოსალოდნელი შეზღუდვები. ყოველივე ამ გარემოებების გათვალისწინებით მერიის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი უნდა ყოფილიყო წინა წლებისგან განსხვავებული, ის პრიორიტეტების განაწილება უნდა იყოს არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში. სამწუხაროდ წარმოდგენილ დოკუმენტში არ იკითხება მსგავსი ანალიზი, მხოლოდ შემოსავლების კლების შესაბამისად ამოღებულია მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები. მისი აზრით წარმოდგენილ პროექტში სამწუხაროდ არ იკითხება რა კონკრეტული ღონისძიებების გატარებას აპირებს მუნიციპალიტეტი ამ კუთხით გარდა აქამდე არსებული სოციალური პროგრამებისა და ქვეპროგრამებისა.

ბიუჯეტის პროექტის განხილვის დასასრულს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, კომისიაში წარმოდგენილი ყველა კომისიის, ფრაქციების და დეპუტატების რეკომენდაციებთან ერთად, გადაიგზავნოს ქალაქი თბილისის მერთან.

მომხრე- 5 ვაჟა ოთარაშვილმა ხმა არ მისცა თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტთან წარმოდგენილ რეკომენდაციებს.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების უმრავლესობამ რეკომენდაცია მისცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიყტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვას საკრებულოს სხდომაზე, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დასკვნის გათვალისწინებით.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.

წარმოდგენილია რაიონული გამგეობების ასიგნებების ცვლილებები საერთო ჯამში 956572 ლარზე. გარდა ამისა ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახური ითხოვს 200 000 ლარის დამატებას კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიბების პროგრამაში, რუსთაველის გამზ.#8 -ის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის..
მომხრე- 5. ვაჟა ოთარაშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქალქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური და რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია